ISSN 0132-6015

ნიანგი

№ 20

ოქტომბერი
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ამას თუ ფრთები დროზე არ შევაჭერით, შეგვჭამს!..

გვარის მიმღებარი

მინიატიურები

„თუ გსურს, იყო ლამაზი — ირბინე! თუ გსურს, იყო ჯანმრთელი — ირბინე! თუ გსურს, იყო ჭკვიანი! — ირბინე!“ ამოიკითხა ერთხელ ჩემიამ გაზეთში.

— მე სულ სხვა რამისათვის დავრბივარ! — თქვა ჩემიამ და საკუთარი „გაზ-ოცდაოთხით“ ერთი „დიდი საქმის გასაიმასქნებლად“ გასწია.

* * *

— ბინა, აგარაკი, მანქანა, ავეჯი, ელექტრო და ვიდეოტექნიკა ხომ გაგიიმასქენი?! ახლა რაღას მთხოვ?! — უთხრა ჩემიას ოქროს თევზმა, რომელსაც ხშირად იბარებდნენ სხვადასხვა საქმეზე.

— ყველა ესენი გაიმეორე ჩემი შვილისთვის! — კატეგორიულად მოსთხოვა ჩემიამ.

* * *

ჩემიამ გაზეთში წაიკითხა, რომ ცხადდება კონკურსი საუკეთესო ეზოზე, სადარბაზოზე, სახლზე!..

— აი, ბინების კონკურსი რომ გამოეცხადებინათ, ნაღდად ჩემი გაიმარჯვებდა! — თქვა ჩემიამ.

* * *

— ბოდიში, მეგობარო, ხომ ვერ მეტყვით, ეს აგარაკი ვისია?

— ჩემია!

— ეს გარაჟი და მანქანა?

— ჩემია!

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ჩემია!

ა. ბარქაია

სტილისტის ლირიკა

მიტაცებული დღისით - და მზისით!..

კაცმა მოზომა სახლის წინ მიწა,
რომ მოიწონოს თავი მოსავლით,
მთელი დღე იქნევს თოხსა და ფიწალს
და ასე გაჩნდა „მისი ბოსტანი“.

მეორემ მოჭრა ნაძვი დარგული,
დაყარა ქვიშა მწვანე ბალახში,
მოზიდა ღორღი, ქვა და აგური
და ასე გაჩნდა „მისი გარაჟი“.

მიტაცებული დღისით და მზისით
არის სარდაფი, ბაღი, ბარაკი!..
ეს არის ჩემი, შენი და მისი
და აღარ არის ჩვენი ქალაქი!

ვინმეს ვიკითხოთ!..

აქვს აგარაკი — სასახლის ტოლი,
გადაფარული ვაზნარის ჩრდილით,
ჰყავს ოქროებში ჩასმული ცოლი
და „მერსედესში“ ჩამჯდარი შვილი!..

შემოგხედავს და ისე დიდგულობს,
გულს საოცარი ბოღმა აიტანს!..
არც შენ კითხულობ, არც მე
ვკითხულობ!..
ერთხელ იკითხოს ვინმემ საიდან?!

ვასტანგ გოგოლაშვილი

ნაბეჭდი

● **ერის** წყლული არა და, მომხვეჭელობის წყურვილი ნამდვილად კლავს.

● **სპეკულანტი** ცივ ქვეყნებში მიფრინავს და თბილი ჩასაცმელ-დასახურავი ჩამოაქვს.

● **დასლთან** დგას, მაგრამ ტახტზე მჯდომს სჯობს.

● **უმჯობესია,** საუცხოო კაცი იყო, ვიდრე — ყოველივე უცხოურის მონა!

● **ზომაში** მოტყუება ზომაზე მეტად იცის.

● **ახალგაზრდობაში** მაჭარივით დუღდა, მაგრამ ღვინომ არ დააცალა დაღვინება.

● **ჩაცივებულს** ვინც არ ასმევ-აჭმევს, იმას ჩააცივდება.

● **„კოლხეთის“** გამყიდველმა კოლხური კოშკი აიშენა.

ოთარ ნაჭყებია
(ქ. სოხუმი)

„საარაკო" ეზაკანები

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მებაღეობის ამხანაგობის გამგეობამ ათი წლის წინათ რუსთავსა და თბილისს შორის მდებარე ტერიტორიაზე, სათბურების ზემოთ, საგარაკოდ გამოგვიყო ნაკვეთები და ნება დაგვრთო, ტიპური პროექტებით აგვეშენებინა სახლები. ამ ათი წლის მანძილზე ბევრი ვიწვალეთ, ვიშრომეთ, რათა ნაკვეთებში დაგვერგო და გაგვეშენებინა ხეხილი, ბაღ-ბოსტანი და ეს უკაცრიელი ადგილი გვექცია ბაღნარად და იგი გამოგვეყენებინა ჩვენი ოჯახების დასასვენებელ კერად. რაოდენ დასანანია, რომ ამდენი შრომა წყალში გვეყრება!..

კუმისის ტბიდან ჩვენკენ ჩამომავალი სარწყავი არხი ჯერ გაივლის **კრწანისის მეღორეობის კომპლექსის ტერიტორიას**, იქ ირევა წუნწუხში და ისე ბინძურდება, რომ, მორწყვის ნაცვლად, ახმობს და აჩანაგებს ნარგავებს, თან აუტანელი სუნით წამლავს აქაურობას!.. მომრავლდნენ მწერები, კოღოები და არხი ანტისანიტარიის კერად იქცა (ამ ადგილს ხუმრობით „საარაკო აგარაკი" შეარქვეს!). მებაღეობის ამხანაგობის ზოგიერთმა წევრმა მიატოვა იქაურობა და მათი ნაკვეთები უპატრონობისა და მოუვლელობისგან გაპარტახდა!.. ან კი ვის რად უნდა ისეთი აგარაკი, სადაც წუნწუხის სუნი ჰაერსა და ნარგავებს წამლავს და „ხეები ზეზეურად კვდებიან?"

მეღორეობის კომპლექსის ხელმძღვანელები კი ნაცვლად იმისა, რომ აამუშაონ და აამოქმედონ ექსპლუატაციაში ვითომ გადაცემული გამწმენდი ნაგებობანი, რომლის აშენებაში დაიხარჯა დიდძალი თანხა, დრო და ენერგია, მშვიდად ისმენენ ჩვენს საჩივრებსა და საყვედურებს, აქაოდა, სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო! ჩივილით კი სად არ ვიჩივლეთ, ვის არ მივმართეთ (ჩვენი საჩივრები, წერილები და მათზე მიუღებული პასუხები, ალბათ, ერო მოზრდილ ტომს შეავსებს!).

მებაღეობის ამხანაგობის გამგეობამაც დასვა ეს საკითხი ზემდგომ ორგანოებში, რესპუბლიკის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელებმაც მოგვწერეს იმედის მომცემი პასუხი, არც საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს დაუტოვებია ჩვენი სამართლიანი მოთხოვნა უყურადღებოდ, მაგრამ...

კრწანისის მეღორეობის კომპლექსის ხელმძღვანელობა არც მომავალში აპირებს წუნწუხიანი წყლისამრიდი არხის გაკეთებას და გამწმენდი ნაგებობის გამოყენებას, რომ ჩვენი აგარაკი არ მოიწამლოს!..

პატივცემულო ნიანგო! იქნებ კრწანისის მეღორეობის კომპლექსის ხელმძღვანელებს შეახსენო ჩვენი გასაჭირი?

აგარაკელთა სახელით —
ვანო ცინცაძე.

ლოდინით სახეშეშლილნი

ზესტაფონის რაიონში დადგენილია ავტობუსების მოძრაობის მარშრუტი — „პირველი სვირი — გეწაძეების უბანი", მაგრამ ავტობუსი იშვიათად დადის.

ამ წელიწადში, მგონია,
რეისი იყო სულ ათი!..
გაჩერებებზე ქანაობს
ავტობუსისა სურათი!..

როცა დანიშნეს, ვიყავით
სიხარულს შინა მყოფელი,
ახლა კი იმის ლოდინში
მტვერს ვყლაპავთ მთელი სოფელი!..

იქნება ბოლო მოეღოს
ჩვენს მუდარას და ჩვენს ჩივილს! —
გაჩერებაზე არ ვიდგეთ
ლოდინით სახეშეშლილნი!..

გიორგი კაპანაძე

ნახ. კ. ფაჩულიასი

— ყველა საბუთი მივუტანეთ, ჩვენი აბიტურიენტი გოგო კადრების ინსპექტორად რომ დაენიშნათ, ამათ კი უბრალო მემანქანედ გაუფორმებიათ!.. ნეტავ, კიდევ რაღას ელოდებიან?
— ალბათ ფულს!

მომხვეჭელობითაც

მომხვეჭელობითაც თვრებიან თურმე ადამიანები! — სწორედ ასე მოუვიდა თეთრიწყაროს რაიონის ორბეთის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ბუღალტერს ვაჟა რუბენის ძე დავიდოვს. მან დანაშაულში ჩაითრია ამავე მეურნეობის მოლარე-მოანგარიშე **დარეჯან პეტრეს ასული ბურდული.** მათ გაიტაცეს და მიითვისეს 8. 779 მანეთი სახელმწიფო თანხა. საამისოდ ჩაიდინეს სამსახურებრივი დანაშაული, შეგნებულად ადგენდნენ ყალბ დოკუმენტებს ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ეს დანაშაული გახდა **თეთრიწყაროს რაიონის სახალხო სასამართლოს** მსჯელობის საგანი. გამოტანილი განაჩენით **ვ. დავიდოვს** მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით. მასვე სამი წლით აეკრძალა მატერიალურად პასუხსაგებ და კრედიტის განმკარგულებელ თანამდებობაზე მუშაობა. **დ. ბურდულს** შეეფარდა **ექვსი** წლით **თავისუფლების აღკვეთა,** რაც სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის საფუძველზე პირობით არ იქნა გამოყენებული ხუთი წლის გამოსაცდელი ვადით. მასაც სამი წლით აეკრძალა მოლარე-მოანგარიშედ და სხვა მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობა.

გარდაბნის რაიონის სანეპიდსადგურის პროფილაქტიკური დეზინფექციის განყოფილების დეზინფექტორმა რობერტ ვასილის ძე გუგულაშვილმა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ანგარებით, სიყალბეთა სისტემატური ჩადენით, სხვებთან ერთად, **დაიტაცა განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახელმწიფო თანხა!..**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ რ. გუგულაშვილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლით ჩამოართვა მატერიალურად პასუხსაგები თანამდებობის დაკავების უფლება. მასვე დაეკისრა დაზარალებული ორგანიზაციების სასარგებლოდ 441. 144 მანეთის ანაზღაურება, ხოლო სხვა დამნაშავე პირებთან ერთად სოლიდარულად 541.328 მანეთის გადახდა!

აქაოდა, კოლექტივს მეტი ძალა აქვსო, კოლექტიურ-ჯგუფურად ქურდობდნენ **კობა ილიას ძე მაღლაკელიძე, ლაშა ლაშარის ძე ხოჯანაშვილი, გელა შოთას ძე დანელია, კონსტანტინე ბონდოს ძე ჭურაძე, ლევან ჯოტოს ძე სტურუა, შურთაზ თამაზის ძე ფერაძე.**

ამ ჯგუფმა სხვადასხვა დროს გაქურდა მოქალაქეთა ბინები. ამ გზით მათ ჩაიჯიბეს 11. 620 მანეთი. ქურდთა კოკაც წყალზე გატყდა. ისინი მართლმსაჯულების სკამზე აღმოჩნდნენ **ზესტაფონის სახალხო სასამართლოში.** გამოტანილი განაჩენით **კ. მაღლაკელიძესა** და **მ. ფერაძეს** 7-7 წლით მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით; **ლ. ხოჯანაშვილს** — 6 წლით, **გ. დანელიასა** და **ლ. სტურუას** — 5-5 წლით, **კ. ჭურაძეს** — 4 წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით. ახლაღა დარწმუნდნენ ზესტაფონელი ხელმრუდენი, რომ კოლექტიური ქურდობის ნაყოფიც მწარეა!

ნახ. **მანანა ბუაძისა**

— ამ ბიძიამ დაჭერობანას თამაში არ იცის, სულ მას იჭერენ!..

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენით **რენო ხუტას ძე ყოლბაიას** სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებით მიესაჯა სიკვდილით დასჯა: **თომა სერგის ძე ოგაიჯანიანს** — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა (აქედან 5 წელი საპყრობილეში, ხოლო დანარჩენი გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით), **აშოტ ეფრემის ძე უსტიანს** — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა (აქედან 5 წელი საპყრობილეში, დანარჩენი გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით), **ჯულიეტა გეორქის ასულ ხაზარიანს** — 10 წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

რაშია საქმე? რამ გამოიწვია ესოდენ მკაცრი სასჯელი?

სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთის მცხოვრებმა **თ. ოგაიჯანიანმა** განიზრახა, მოეკლა მამინაცვალი **ვ. ვ. ხვოროვი,** რათა მემკვიდრეობით დაუფლებოდა გარდაცვლილი დედის ქონებას. ამ შავბნელ განზრახვაზე ის მოელაპარაკა თავის ამხანაგს **რ. ყოლბაიას.** ამ ბოროტმოქმედებმა დანაშაულში ჩაითრიეს **ჯ. ხაზარიანი.** ბოლოს **რ. ყოლბაიამ** სოფელ თავისუფლების ტერიტორიაზე სანადირო დანით სიცოცხლეს გამოასალმა **ვ. ხვოროვი.** დამნაშავეებმა ერთმანეთში გაინაწილეს **თ. ოგაიჯანიანის** მიერ გაცემული 3.100 მანეთი!..

აღსანიშნავია, რომ ამ საზარელი მკვლელობის ორგანიზატორების მხარე მოითხოვს მკვლელთა საქმის დამატებით გამოძიებას რესპუბლიკის პროკურატურის მიერ. მაგრამ ერთი ცხადია: ვინც უნდა იძიოს, დამნაშავეები მკვლელის დაღს ვერ ჩამოიცილებენ! სასჯელი სასჯელად დარჩება!

ვინ არ იცის, რომ ქრთამის აღება უშრომელი შემოსავლის მოხვეჭისაკენ ლტოლვაა! ამ სამარცხვინო გზას დაადგა **რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს უფროსი იურისკონსულტი გაიოზ დავითის ძე გამხიტაშვილი.** მან სულ ცხრა დღეში სხვადასხვა რაიონში მივლინებაში ყოფნისას (**ყვარელი, ლაგოდეხი, წითელწყარო, ბოლნისი, თეთრიწყარო**) არაერთხელ აიღო ქრთამის სახით 3.250 მანეთი, ვისაც ქრთამს ართმევდა, იმათ შეეპირდა, რომ **„არ ჩაატარებდა ობიექტურ სარევიზიო მოქმედებებს და არ გამოავლენდა არსებულ დარღვევებს".**

სამაგიეროდ, სავსებით ობიექტურად მოიქცა **რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო** კოლეგია მექრთამის მიმართ. მის მიერ გამოტანილი განაჩენით **გ. გამხიტაშვილს** მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით.

ს. ხვამლელი

ნახ. ჯ. ლოლუასი

— რა განსხვავებაა, ბიძია, ამათ შორის?
— ერთს ადუღებენ და მეორე თვითონ გადუღებს, ბიძიკო!

რაციონალიზატორული წინადადება



როგორც ვიცით, ნებისმიერი საწყობი შეიძლება საკუთარ დუქნად გადააქციოს მისმა გამგემ. ამისათვის მას სჭირდება ერთადერთი რამ — მომხვეჭელური ნაბიჯის გადადგმა!

საწყობის გამგეს რომ თავიდან ავაცილებინოთ ამ ნაბიჯის გადადგმა, შემომაქვს შემდეგი წინადადება: მეძებარ ძაღლს წინასწარ შეაყნოსვინეთ იმ დეფიციტური საქონლის სუნი, რომლის უქონლობაზეც გეფიცებათ საწყობის გამგე, როდესაც ამოიკითხავს მას თქვენი მოთხოვნის რეზოლუციებით სავსე ბლანკიდან.

ნუ შეამჩნევთ მაგიდიდან შემთხვევით გამოწეულ უჯრას, სადაც არსებული ტარიფის მიხედვით იდება ქრთამი, და შეუშვით საწყობში მეძებარი ძაღლი!

თქვენ გექნებათ აბსოლუტური გარანტია, რომ ის ძალიან მალე მოგიძებნით სასურველ საქონელს!

ამით თქვენ კიდევ ერთხელ დაუმტკიცებთ ადამიანებს (ამ შემთხვევაში საწყობის გამგეს) ქართული ანდაზის სისწორეს: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს!

თუ საწყობის გამგე შეიგნებს ამ ანდაზის სისწორეს და არ გაიქცევა სამსახურიდან, შეგიძლიათ ძაღლი გამოიყენოთ სხვა საწყობების ან ობიექტების შესამოწმებლად!

ანდრო კოკოლია

ვისია?

— ეს ცისფერი „ჟიგული“ ხომ არ იცით, ვისია?
— მზითვად გამოატანა მამამ თავის ცისიას!
ეს ახალი „ვოლგა“ კი, ჯერ საცხი რომ უსვია,
საქმოსნებმა მიართვეს დღეობაზე კუსიას!
— ღლაპი საჭეს რომ უზის, ის მანქანა ვისია?
გიპასუხებს შიგ მჯდომი: — ჩემ და ჩემი ძმისია!
ზოგს რომ ჰკითხავ, მოგიგებს: — ავტო ბაბუისია,
სკოლა რომ დავამთავრე, შეიძინა ნისიად!
ვმართავ მინდობილობით, მანქანა კი მისია.
— თეთრი „ვოლგა“ ვისია? („პაკრიშკები“ „ლისი“ აქვს).
— მისაჩუქრეს მშობლებმა, შესრულებს მისია!
ხელფასი რომ ასი აქვს, ან თუნდაც ორასი აქვს,
რით ყიდულობს მანქანებს პეტრე, პავლე, ვასია?
განა ისე მცირე და უმნიშვნელო ფასი აქვს,
ხელი მიუწვდებოდეს ვანოს, სურენს, ასიას?
ჰოდა, დავინტერესდეთ, ავტო ბოლოს ვისია?
ვის აჩუქა, ვის მისცა მისიანს თუ სხვისიანს?
გივია თუ ზურაბი, ვანოა თუ ბესია,
ყველას მკაცრად მოვკითხოთ, ისე, როგორც წესია,
რომ ქალაქის ქუჩებში შეწყდეს მათი თარეში,
საჭესთან არ ვხედავდეთ ლოთებს, მთვრალებს,
გალეშილთ!..
თუ არ გვექნა წესრიგი, არ ამოვდეთ ლაგამი,
სხვებიც გადაიღებენ მათგან უხამს მაგალითს!..
და თუ ჰკითხავთ ასეთებს: „ეს ქალაქი ვისია?“
იმასაც კი გეტყვიან: „ჩემ და ჩემი ძმისია!“

თ. წითელხეველი

ნახ. ზ. ლელაძისა

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასწავლე კვიკა!

ჯემალ აფციაური

ჩვენს ენაზეა ოქმული: ლენინი, ეს საგანგებო ბუნებისა, ეს ადამიანი, ეს ეპოქა, ეს ეპოქა, ეს ეპოქა

წერილები თბილისიდან

ძვირფასო ნიანგო!

ვცხოვრობთ თბილისის ცენტრში, დგებუაძის ქუჩის № 1 სახლში. ეს უზარმაზარი, რვასართულიანი და ცამეტსადარბაზოიანი სახლი თითქმის წყალში დგას და თავი ვენეციაში გვგონია. მე-7 სადარბაზოს სარდაფი წლების მანძილზე დაგუბებული წყლითაა სავსე და ანტისანიტარიის კერადაა გადაქცეული.

№ 11 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორისა და რაიონის საბინაო სამმართველოს მესვეურები ასეთი პასუხით გვისტუმრებენ: რა ვქნათ, ვერ დავადგინეთ საიდან შედის სარდაფში წყალიო. სანეპიდსადგურის წარმომადგენლებს კი ერთხელაც არ უნახავთ ეს სარდაფი...

დგებუაძის ქუჩის № 1 სახლის მობინადრენი.

საყვარელო ნიანგო!

თბილისში, წერონისის ქუჩაზე, № 79 სახლთან დადის № 2 მარშრუტის ტრამვაი, რომლის ერთი ხაზიდან მეორეზე გადასაყვანი კვანძი სწორედ ჩვენი ბინების წინაა და ისეთი ხმაურია, რომ კედლები ზანზარებენ, რის გამოც არა გვაქვს ძილი და მოსვენება. თავდაპირველად ეს ლიანდაგები ისე იყო დაგებული, რომ არ გვაწუხებდა და, რატომღაც, ჩვენდა ჭირად შეცვალეს. მოკლედ, ისეთ დღეში ვართ, ლამის ლიანდაგები ძალაყინებით ავყაროთ.

კარგი იქნება, ნიანგო, თუ ჩვენს გასაჭირს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ხელმძღვანელებს შეახსენებთ!

ტრამვაის ხმაურით გულგაწყალებულები.

რა ღირს ბილეთი?

ყოველდღიურად ა ვ ტ ო ბ უ ს ი თ ვმგზავრობ თბილისში გარდაბნის რაიონის სოფელ კუმისიდან სანაპიროზე მდებარე ავტოსადგურამდე, საიდანაც მარშრუტით „თბილისი-თელეთი-ზემო კუმისი" მოძრაობს ორი ავტობუსი. თელეთელებმა და კუმისელებმა დღემდე ვერ გავიგეთ მგზავრობის ზუსტი საფასური. ზოგი მძღოლი თელეთამდე გვახდევინებს 35 კაპიკს, ზოგი — 40-ს. (სერგო ასიტაშვილმა ერთხელ ავტობუსიდან ჩასვლისას 50 კაპიკი მომთხოვა კუმისამდე, თან მომაძახა, დღეის შემდეგ ჩემს ავტობუსში ამოსული არ დაგინახოო!).

ამ რამდენიმე თვის წინ კი ავტოსადგურში ასეთი წარწერა იყო გამოკრული (სტილი დაცულია):

დ ი ს პ ე ჩ ე რ ს!

გააცანით მოლარეებს ფასები
1. თბილისი — ზემო თელეთი — 35 კ.
2. თბილისი კუმისი 45 კ.
3. თბილისი ზემო კუმისი 50 კ.
№ 1 საღ. უფრ. კვინიკაძე
14.VI. 85 წ.

თურმე, ჯერ კიდევ გასული წლის 30 აგვისტოს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადაწყვეტილება მიუღია ავტოკოლონა 2656-ის „თბილისი-თელეთი-ზემო კუმისი"-ს მარშრუტზე ღირებულების მომატების შესახებ და ავტოკოლონის ხელმძღვანელობას, ბრძანებით დაუდგენია ასეთი ფასები: **„თბილისი-ზემო თელეთი" — 35 კაპიკი, „თბილისი—კუმისი" — 45 კაპიკი და „თბილისი — ზემო კუმისი" — 50 კაპიკი.**

აღმასკომს აღნიშნული გადაწყვეტილება გამოუტანია თითქმის ერთი წლის წინათ, მაგრამ ავტოკოლონის ხელმძღვანელებს ბრძანება დაუწერიათ მიმდინარე წლის 10 ივნისს და ავტოსადგურში გამოაკრეს 14 ივნისს. ზოგჯერ, ბილეთებს რომ გვაძლევენ, ვერც გაიგებ, მასზე რა წერია. ხშირად მოლარეები ბილეთებს არც კი ჰყიდიან და, მძღოლს გადაუხადეთ მგზავრობის ფასიო, გვეუბნებიან. საინტერესოა, რატომ?

ზემოკუმისელი

სასოსისე უსოსისოდ?!.

გლდანის რ ა ი ო ნ ი ს საზკვების № 310 გაერთიანების ფილიალს (ავჭალაში) დიდი ასოებით აწერია„ს ა ს ო ს ი ს ე". მაგრამ, ზოგჯერ შიგ რომ შეხვალ, მაცივარში რამდენიმე კოლოფი თევზის კონსერვი და სამი ცალი ძეხვი დევს. (თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ თბილისში, თურმე, არის ისეთი სასოსისეებიც, სადაც სოსისი მოუხარშავად იყიდება ზედმეტ ფასებში!).

— სოსისი გაქვთ? — ვეკითხებით მებუფეტე ი ო ს ე ბ ს, რომელსაც კლიენტები მოფერებით ი ო ს კ ა ს ეძახიან.

— არა, ბატონო! — ცივად გვიპასუხებს იგი.

— რატომ? — ვეკითხებით კვლავ.

— გავაგზავნე საზკვების ტრესტის საწყობში დამლაგებელი და სოსისის ნაცვლად, აი, ეს სამი ცალი ძეხვი მოგვცეს!

— სხვას, კიდევ რა პროდუქტებს ჰყიდით, გარდა სოსისისა და თევზის კონსერვებისა? — ისევ ვეკითხებით იოსკას.

— არაფერს! — კვლავ ცივად გვიპასუხებს მებუფეტე.

საინტერესოა, თუ სხვა საჭმელი აქ მართლა არაფერი აქვთ, მაშ რაღაა ასეთი სასოსისე უსოსისოდ!

სოსისის მოყვარულები

ნახ. ჭ. დეისაძისა

— ჰაერსაც უცხოურს სუნთქავს!.. მშობლები მშობლიურ ნიავსაც არ აკარებენ!..

ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

ნიანგი

კერძომესაკუთრის მონოლოგი

მაქვს უამრავი ქონება — ხალხისგან წანაღლეტავი...
აქამდე სუფთა ხელფასზე რატომ ვიჯექი, ნეტავი?!
რად მინდა ქუდი ნამუსის, და ან — სახელი კაცური?!
მე მირჩევნია ხელების ხალხის ჯიბეში ფათური!
რატომ ვიყავი აქამდე მორცხვი და გაუბედავი?!
რას მოვიხვეჭდი, რომ ვიყო შუბლის ძაფგაუწყვეტავი?!

ნიკოლოზ იოსებიძე

ნატვრა

მეჭრთამედ არ გამიზრდიხარ, კაცურ ყაცად გზრდიდი,
როცა დაგაწინაურეს, თავს ღმერთკაცად ვთვლიდი!

უარყავი ხალხის ნდობა, რაც დღეს დიდად ფასობს!
თვით განსაჯე, რა მოგეზლოს! — განა ასე არ ჯობს?

ვიდრე ხალხი, ჩემო შვილო, გამოიტანს სასჯელს,
ბუნებას ვთხოვ, მანამ მომკლას, ნუ მომასწროს ამ დღეს!

ლილი აბზიანიძე

ძველი თანამდებობანი ახალი გაგებით

მკალავი — კოსმეტიკის სპეციალისტი.
ხუმარა — უფროსის მეშვიდე მოადგილე, სისტემატურად რომ აგზავნიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.
მეწვრილმანე — მაღაზია „ათასი წვრილმანის" გამყიდველი, რომელსაც ათასი მხოლოდ ნატვრა აქვს.
მეკასრე — პლასტმასის ქარხნის ოსტატი.
ხაბაზი — პურის მექანიკური ქარხნის ელექტრომონტიორი.
მჭედელი — ავტოპროფილაქტორიუმის მეთუნუქე, ჩაქუჩს კლიენტის ჯიბეზე რომ უკაკუნებს.
ბუხრის მწმენდავი — მეხანძრე, დომინოს გროსმაისტერი.
მეციხოვნე — სტადიონის მებილეთე.

ვ. მამუკელაშვილი

უნდა ვუჩივლო აწი!

ზოგჯერ ლუდს მისხამს, კათხას ბოლომდე აღარ ავსებს!..
თვალს და ხელს შუა ნეტავ რატომ მატყუებს ასე?
ტაქსისტს არ მივცემ ზედმეტს, — ამბობს: „დღეს
დავითარსე!"
ზოგი ტაქსისტი ნეტავ რად გათავხედდა ასე?
ოფიციანტი ზოგჯერ მომართმევს სასმელ-საჭმელს,
როცა ანგარიშს მოვთხოვ, ისიც ორმაგად „მაჭმევს"!..
ველარ ვყიდულობ „კოსმოსს", თუ არ მივეცი მეტი!
სპეკულანტებს აქვთ მარტო „ქემალ"-„მალბორო",
„კენტი"!..
უნდა ვუჩივლო აწი, უნდა გავტეხო ნავსი,
უნდა ვაჩვენო ყველას ჩივილის ნაღდი ფასი, —
თორემ სულელად მთვლიან, ზოგ-ზოგს ვგონივარ ბრიყვი!
აწ ჩემ ცარიელ ჯიბის ჯავრს მე თვითონვე ვიყრი!

ივანე ოსეფაიშვილი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო:

„ნიანგის“ 1984 წლის მე-17 ნომერში დაბეჭდილ წერილში — **„ვიდომ ეს დისპანსერია?“** — მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. წითელწყაროს რაიონის ტუბდისპანსერის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. შენობა მოძველებული და უვარგისია. იმის გამო, რომ უახლოეს წლებში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებები მთლიანად განაწილებულია მშენებლობის პროცესში მყოფი სამედიცინო ობიექტების დაფინანსებისათვის, **მიზანშეწონილად მიგვაჩნია წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომმა (ვის ბიუჯეტზედაც იმყოფება დისპანსერი) გამონახოს შესაფერი შენობა მასში დისპანსერის მოსათავსებლად. ჯანდაცვის სამინისტრო დახმარებას გაუწევს აღმასკომს გამოყოფილი შენობის რეკონსტრუქციის პროექტის შედგენაში, საჭირო აპარატების, მოწყობილობისა და სამედიცინო ტექნიკის გამოყოფა-შეძენაში.**

წითელწყაროს რაიონში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო აშენებს პოლიკლინიკას, რომლის ექსპლუატაციაში ჩაბარება გათვალისწინებულია 1986 წლისათვის.

* * *

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო:

„ნიანგის“ მიმდინარე წლის მე-6 ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალაში — **„მოპატიჟება თიანეთში“** — მოყვანილი ფაქტები სწორია. სამინისტრომ თიანეთის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობასთან ერთად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

დაბა თიანეთის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებიდან გამოყოფილია 135 ათასი მანეთი. გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთებისათვის მიმდინარე წელს სამინისტროს მიერ გამოყოფილია 72 ტონა ნავთობ-ბითუმი. დაბაში სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გათვალისწინებულია უახლოეს პერიოდში ერთი ნაგავსაზიდი სპეცავტომანქანის გამოყოფა.

* * *

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო:

„ნიანგის“ გასული წლის მეორე ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით — **„აბაშენა ღმერთმა!“** რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: მეტეხის საშენ მასალათა კომბინატსა და ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანაში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებმაც უზრუნველყვეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. **მეტეხის საშენ მასალათა კომბინატში დაიდგა ახალი საშრობი დოლი, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა №1 ღუმელს. გამართვითი სამუშაოები ჩაუტარდა თიხის გადამამუშავებელ მოწყობილობას, მიმდინარეობს ახალი, №6 ღუმელის მშენებლობა, ხოლო ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანაში აშენდა სილიკატური ნაზავის გადამამუშავებელი კვანძი. მიმდინარეობს ნაზავის ახალი ტექნოლოგიით მომზადებისათვის საჭირო სამუშაოები, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი პროდუქციის გამოშვებას სტაბილურად. ამჟამად ზემოხსენებული საწარმოებისათვის შემუშავებული და დამტკიცებულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა, რომლის შესრულების მიმდინარეობაზე დაწესებულია კონტროლი.**

* * *

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო:

„ნიანგის 1984 წლის მეორე ნომერში დაბეჭდილი წერილი სათაურით — **„გაღმაგამოღმა“** — განხილული იქნა სამინისტროს მიერ და, წითელწყაროს რაიონის პარტიულ ორგანოებთან შეთანხმებით, **გადაწყდა ხორცკომბინატში დამატებით მოეწყოს სასაკლაო განყოფილება რაიონის მეურნეობებიდან მოყვანილი იძულებით დასაკლავი პირუტყვის შეუფერხებლად მიღება-გადამუშავებისათვის.**

სიღნაღის რაიონში დამზადებული საკლავი პირუტყვის მიღება საწარმოო გაერთიანება „თბილხორცის“ მიერ, ძირითადად, ადგილზე, მეურნეობებში ხდება, ხოლო პირუტყვი, რომელიც არ ექვემდებარება ტრანსპორტირებას, მათი დაცემის თავიდან აცილების მიზნით, ბარდება წნორის სასაკლაოს.

* * *

საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომი:

„ნიანგის“ გასული წლის მე-19 ნომერში დაბეჭდილ წერილში — **„ტაბახმელის ბიოკომბინატის ჩივილი“** — მოყვანილი ფაქტები, რომელიც ეხებოდა ახალი კომპლექსის მშენებლობისათვის შეძენილი ძვირადღირებული დანადგარებისა და მოწყობილობების დეტალების განიავება-გაუჩინარებას, სინამდვილეს შეეფერება. **ამასთან დაკავშირებით ოთხი მუშაკი გათავისუფლებულია სამსახურიდან. არასაუწყებო დაცვის მუშაკის — შ. პაპაშვილის საკითხი გადაეცა ადმინისტრაციულ ორგანოებს. განკომპლექტებული დანადგარები აღდგენილია. ბიოკომბინატის ხელმძღვანელობის მიერ გატარებულია ღონისძიებანი მსგავსი შემთხვევების სალიკვიდაციოდ.**

* * *

სახალხო დეპუტატების სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომი:

„ნიანგის“ 1984 წლის მე-4 ნომერში დაბეჭდილი წერილი — **„ზარათები ნიანგს“** და მე-17 ნომერში დაბეჭდილი **„დაგვიანებული პასუხების“** პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც ეხებოდა სოფელ ანაგისა და კარდენახის გამყოფი ხევის დაბინძურებასა და კეთილმოუწყობლობას, სინამდვილეს შეეფერება. სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ დაუყოვნებლივ იქნა მიღებული ზომები აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად. კერძოდ, **სოფელ ანაგის კოლმეურნეობისა და ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოს მეშვეობით ხევს ჩაუტარდა გამწმენდი სამუშაოები, კეთილმოეწყო მისი ძირი და გვერდულები. დეკორატიულად მოპირკეთდა ამ ტერიტორიასთან ახლომდებარე ღობეები და საცხოვრებელი სახლების ფასადები. კეთილმოწყობის სამუშაოები კვლავ გრძელდება რაიონის მასშტაბით.**

* * *

თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო:

ჟურნალ „ნიანგის“ გასული წლის მე-16 ნომერში დაბეჭდილი წერილი სათაურით — **„უპასუხისმგებლო პასუხების პასუხად“** — სინამდვილეა. წერილში აღნიშნული მდგომარეობა შედეგია ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დაბალი პასუხისმგებლობისა და რიგ შემთხვევებში — არაკომპეტენტურობისა. ნეგატიურ მოვლენებისადმი შემრიგებლურ პოზიციას და პარტიული მომთხოვნელობის სისუსტეს მიეძღვნა სპეციალური სხდომა, რომელზედაც მსჯელობის საგანი გახდა ვაჭრობის სამმართველოში დისციპლინის განმტკიცების, დარღვევებთან ბრძოლისა და მათზე რეაგირების საკითხი. **დაქვემდებარებულ სავაჭრო ორგანიზაციებში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტების, გამოვლენილ დარღვევა-დამახინჯებაზე არაპრინციპული რეაგირებისათვის გათავისუფლებულნი იქნენ დაკავებული თანამდებობიდან: „თბილმრეწვვაჭრობის“ დირექტორი ნ. სიგუა, „თბილტანსაცმელვაჭრობის“ დირექტორი ე. ბუაძე, „თბილფეხსაცმელვაჭრობის“ დირექტორი ა. ბათიაშვილი, კალინინისა და საქარხნო „რაისაზკვების“ დირექტორები — გ. ხმელიძე და ლ. საყვარელიძე. მკაცრი დისციპლინარული სასჯელები დაედოთ აგრეთვე სხვა სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და აპარატის მუშაკებს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ოდისეა

ევრიკა

დასხდნენ და ლექსი დაიწყეს,
დახარბდნენ ღმერთთან საუბარს!
ხარი რქებით რომ გაიწევს,
მიდი და, მხარს ნუ აუბამ!..

ღამე ფიქრებში ათენეს,
გვერდი აქციეს ბოჰემას,
მიბაძეს ტიმონ ათენელს,
მერე „დაურტყეს“ პოემაც!

არც რომ პოემამ ივარგა,
მიმართეს მერე ნოველას,
შემდეგ რომანიც დაწერეს
მათ — სათითაოდ ყოველმა!

თქვეს: „თუმცა ბედი გვეწევა,
ჯერ საფიქრალი ბევრი გვაქვს!“
მიუხტნენ მეცნიერებას,
ევრიკას მოჰყვა ევრიკა!



„სახელი მით ვერ გავითქვით,
ლექსი ვერ მიდის რაკრაკით,
პირდაპირ დავსვით საკითხი:
სხვიტორელია აკაკი!

ჩვენი ძიების წყალობით,
დამტკიცდა აწ ნამდვილია:
წიწამურისკენ, წყაროსთან,
მოუკლავთ თურმე ილია!

უკრაინაში მარხია
გურამიშვილი დავითი,
მისტიკურ ქსელში გაჰხვია
ლექსი, პოემა თავისი!

ზუბოვკის გზაზე გოგონა
არავინ იცის, ვინც არის! —
თქვენ ხომ ქალწული გეგონათ?! —
ჩვენ მასში ღმერთი ვიცანით!“

ისე შეაქეს ერთგულთა,
ტაშით დაქანცეს ხელები,
უთხრეს: „დარჩებით თქვენ მუდამ
ლიტერატურის დევები!“

გვკითხავენ რამეს ჩვენ თუკი,
ვამაყობთ თქვენისთანებით!
ფეხით შეაღეთ (გეკუთვნით!)
აკადემიის კარები!

P.S.

უცდიან, როდის მოავლენს
უფალი მუზებს ფრთამალებს,
შორიდან თვალით ზომავენ
მთაწმინდისაკენ... სამარეს!

ლევან მესხიშვილი

№ 710
4. XI 1985

ილუსტრაციები ზ. ფორჩხიძისა

განცხადებები

- ვთმობ პოზიციას.
- ვცვლი შეხედულებას ნივთებზე.
- ვცვლი კარგ დასაწყისს ბედნიერ დასასრულზე.
- შემიძლია, არ ჩავერიო.

ეს საინტერესოა!

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „სირცხვილის“ ფსიქოლოგთა წამყვანი ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომელიც პრაქტიკამ დაადასტურა. თურმე თუ ადამიანები წითლდებიან, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათ სინდისი აქვთ. ცდებმა გვიჩვენეს: ამ ადამიანებს რომ სინდისი ჰქონდეთ, არ ჩაიდენდნენ იმას, რის გამოც წითლდებიან.

უაღრესი კეთილმოსურნეობა

ქალაქ სასწაულის მცხოვრებმა ა. იქითურმა რიგი რომ დაინახა, იკითხა: ბოლო ვინ არისო? ბ. აქეთურმა უპასუხა: მე მთხოვეს, მეტი აღარავინ ჩავაყენო რიგში, მაგრამ, შემიძლია ჩემი რიგი დროებით თქვენ დაგითმოთო!

„ლიტერატურნაია გაზეტა“ № 37, 1985 წ.

ნახ. თ. ჟანიასი

— რა ქნეს ჩვენებმა, მოიგეს თუ წააგეს?
— ჩვენ კი მოვიგეთ, მაგრამ ჩვენებმა რა ქნეს, ამას ამაღამ გავიგებთ ტელევიზორით!

7-857 85-710

ნახ. გ. მორჩაძისა

აშშ-ს კონგრესმა ნება დართო ვაშინგტონის ადმინისტრაციას, აწარმოოს ომი ცენტრალურ ამერიკაში, კონგრესის სანქციის გარეშე.

გაზეთებიდან

კაპიტოლიუმი ახალ ჯაჭვ-მუზარადში

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 20 (1632) ოქტომბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ზორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად 21.09.85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.10.85 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა №2152. უე 11229. ტირაჟი 143300. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან — მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
ინდექსი 76137